



საქართველოს ბარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური
DEPARTMENT OF LICENSES AND PERMITS

საქართველო, 0114, გულუას ქა, ტელ. 72 72 60

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 15

02 02 2009 წ.

1. საერთო მონაცემები

- საქმიანობის დასახელება – თბოელექტროსადგურის მე-9 ენერგობლოკის რეაბილიტაცია
- საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“, გარდაბნის რაიონი, აღმაშენებლის ქ. №2
- განხორციელების ადგილი – გარდაბნის რაიონი, აღმაშენებლის ქ. №24.
- განაცხადის შემოსვლის თარიღი – 25.12.08
- მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „ეკოლცენტრი“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია გარდაბნის თბოელექტროსადგურის მე-9 ენერგობლოკის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც მომზადებულია შპს „ეკოლცენტრი“-ს მიერ.

შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“-ს მე-9 ენერგობლოკი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რუსთავი-გარდაბნის ავტომაგისტრალიდან 900მ და მდ. მტკვრიდან 3,5კმ. დაშორებით.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, თბოელექტროსადგურის კომპლექსი შედგებოდა №9 და №10 ერთნაირი საპროექტო მონაცემების ენერგობლოკებისაგან. №10 ენერგობლოკი არ ფუნქციონირებს და არ ექვემდებარება აღდგენას.

მე-9 ენერგობლოკი წარმოადგენს ზეკრიტიკული პარამეტრებით მომუშავე ბლოკური ტიპის თბოელექტროსადგურს, დადგმული სიმძლავრით 300მგვტ. ძირითად საწვავს წარმოადგენს ბუნებრივი აირი, რომელიც ქ. გარდაბანში არსებული გაზგამანაწილებელი სადგურიდან მიეწოდება საქაბე აგრეგატს, სადაც წვის შედეგად გამოყოფილი სითბო გადაეცემა ქიმიურად გაწმენდილ წყალს და მიიღება ზეკრიტიკული პარამეტრების გადახურებული ორთქლი.

გადახურებული ორთქლი კონდენციური ტურბინის მაღალი წნევის ცილინდრის, გავლის შემდეგ ბრუნდება ქვაბში, გაივლის შუალედურ ორთქლგამაცხელებელს და მიეწოდება ტურბინის საშუალო წნევის ცილინდრს. შემდგომ ორთქლი გადადის დაბალი წნევის ცილინდრებში, საიდანაც კონდესატორში ჩაედინება. კონდენსაციის შემდეგ კონდენსატი აწვეის ტუმბოების ორი საფეხურის საშუალებით დეარატორებს მიეწოდება. დეარატორებიდან მკვებავი წყალი ბუსტერული ტუმბოების საშუალებით მიეწოდება მკვებავი ტუმბოების შეწოვის ხაზს და ბრუნდება ხელმეორე ციკლის შესასრულებლად.

ენერგობლოკის ტექნიკური წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის დამბიდან, საიდანაც წყალი მაგისტრალური არხით სალექტარებისა და გამწმენდი სისტემის გავლით მიეწოდება საცირკულაციო სისტემას. წყლის გაწმენდის შედეგად დარჩენილი შლამის წლიური რაოდენობა შეადგენს 24მ³-, ხოლო შლამშემკრები ნაგებობის ტევადობაა 16000მ³.

დანადგარების საწარმოო სიმძლავრის უზრუნველყოფისათვის საჭიროა ბუნებრივი აირი – 1934მ³/დღეღამე და წყლის ხარჯი 1080მ³/სთ.

საწარმოს მიერ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ქ. გარდაბნის კომუნალური კანალიზაციის ქსელში შესაბამისი ხელშეკრულების

საფუძველზე. ხოლო საწარმოო სანიაღვრე წყლები გაწმენდის შემდეგ წყალსაგები არხის მეშვეობით ჩაედინება მდ. მტკვარში.

დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ობიექტზე მოსალოდნელია სამრეწველო (სამშენებლო, საწარმოო) და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა.

პროექტის მიხედვით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება დაგეგმილია საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულ კონტეინერებში და ხელშეკრულების საფუძველზე პერიოდულად გატანილი იქნება ქალაქის კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ მუნიციპალიტრ ნაგავსაყრელზე. მისი სავარაუდო რაოდენობა შეადგენს თვეში 3-4მ³-ს, ხოლო რაც შეეხება საბურავების, რეზინის ნაკეთობისა და სხვა ელასტომერული ნარჩენებს, ასევე საწარმოში წარმოქმნილ ნამუშევარ ზეთებს, გადამუშავების მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და სამართლებრივი ასპექტები, მოცემულია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ბუნებრივი და სოციალური გარემოს არსებული მდგომარეობის მოკლე აღწერა: კრიტერიუმები და ალტერნატივები, ზეგავლენის წყაროები, სახეები და ობიექტები, გეოლოგიური და გეომორფოლოგიური მახასიათებლები, კლიმატური და რეჟიმული მეტეოროლოგიური პირობები, ფლორა და ფაუნა, ჰიდროლოგიური რესურსების დახასიათება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურების საკითხები, ზედაპირული წყლების დაბინძურების მდგომარეობა, რადიაციული ფონის შეფასება, გარემოზე მანე ფიზიკური ზემოქმედება. განხილულია ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილებისა და უსაფრთხოების ზომები, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

ანგარიშში წარმოდგენილია ტექნოლოგიური პროცესის სქემა და რეგლამენტი, საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია დაბინძურების პოტენციური წყაროები და დაბინძურების შერბილების/თავიდან აცილების შესაძლებლობები.

ექსპერტიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები საფუძველად უდევს წინამდებარე დასკვნის მესამე თავს.

III. პირობები

1. საწარმოს ექსპლოატაციაში გაშვებამდე დამუშავდეს საწარმოს მონიტორინგის (თვითმონიტორინგის), გარემოსდაცვითი სამენეჯმენტო და ნარჩენების მართვის, ასევე ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმები, რომელიც უნდა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ექვსი თვის ვადაში;
2. მოხდეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებზე, საწარმოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სადაკვირვებო წერტილების შერჩევა და განხორციელდეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის კონტროლი;
3. უზრუნველყოფილი იქნას კონტროლი ხმაურზე და ასევე, ჩამდინარე წყლების ხარისხზე;
4. დამუშავდეს საპასუხი გეგმობლო საინჟინრო ნაგებობების (საკვამლე მილი, სააერაციო მილი, ჰიდროტექნიკური ნაგებობები) დაკვირვებათა პროგრამა;
5. დამუშავდეს ქ. რუსთავში არსებული წყალმომარაგების სათავე ნაგებობებზე თევზდამცავი და თევზამრიდი ღონისძიებების პროექტი და მოხდეს მისი განხორციელება.

IV. დასკვნა

შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“-ს მიერ წარმოდგენილი თბოელექტროსადგურის მე-9 ენერგობლოკის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჭახნაკია
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

ბ. ა.

